

1
1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუვიდობის
გომხრეთა
მსოფლიო
კონგრესი

Обязательный экземпляр

ჩრდილო
ატლანტიკის
კავშირი

3/4
№ 94



О. Жыхе '49

ნახ. ი. გუროვი

ნ ი ა ნ ბ ი

№ 7. თბილისი. 1949 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“.

გამოცემის წელი XXVI.

ფასი 2 მან.



ამერიკელი მიჯნური და მისი ორი ახალი სატრფო.

აი, ციფრებით მე რვეულს ვაგებ,
ამ ანგარიშით ზუსტად ითქმება,
როდის ვინილავთ მეტეორს ცაზე,
მზის დაბნელება როდის იქნება

დღეს სულ სხვაგვარი ტელესკოპიდან
შეგნიშნე შენი ხარბი თვალეები;
საომრად გაწვილდი ხელზე გკოცნიდა
ხან ბელგიელი, ხან ბრიტანელი.

თუ ველარ გახსდებ ომის გარეშე,
გახსოვდებ, ვიცო ხმლის გახელემა,
მაშინაც ზუსტად ვიანგარიშებ
მე უოლ-სტრიტის მზის დაბნელებას.

ედ, ყიფიანი



კოკითხვით და ნახვის ნახვრით

ი. ასკარაძე. ჯანაშიაძის რეპორაჟის გეგმა ქონსტანტინე ხაჩიძისთვის

დღეა პატივცემულ კონსტანტინე!
შორიდან მოგიკითხავთ და თქვენს ახლო ნახვას ვინატრი.
მოკრძალებული კაცი ბრძანდებით, შეიძლება ჩვენმა სურვილმა
გაგანითლოთ, მაგრამ ჩვენი ნატვრა საქმით არის გამოწვეული:
თქვენი ხელმარჯვეობისა და დარდიმანდობის შესახებ ბევრჯერ
გვსმენია, მაგრამ შენუხება ვერ გაგიბედეთ. რაც არ უნდა იყოს,
გამგე კაცი ხართ, რაიონის ჯანმრთელობის საქმე ხელთ გიპყრიათ,
ათასი რამ გაქვთ მოსაჭახრაკებელ-მოსაგვარებელი, ბარათების
კითხვისათვის ხომ ვერ მოიცდიდით?

მაგრამ თქვენებურები არ გვისვენებენ: აქაო და ნიანგი
გულთამხილველიაო, მოითხოვენ გინდა თუ არა, კონსტანტინე
ტარიელაშვილის დანაშაულობანიც ამხილოსო! მაინცდამაინც რაში
უნდა გამხილოთ?

თუ იმას გულისხმობენ, რომ გასაჭირის დროს, რაც მთელ
რიგ საქმეებში შეგემთხვათ და დაპატიმრების საშიშროებაც კი კაი
პურმარინისა და ძმაკაცების დახმარებით აიცილეთ თავიდან—ეს
ხომ უკვე ცნობილია მათთვის? მაგრამ რამდენი მოუსვენარია
ამ ქვეყნად: შემოგვიჩნდნენ მაინცდამაინც ტარიელაშვილის
ახალი დანაშაულობანი გამოამწეურეთო!

აღბათ ისინი გულისხმობენ თქვენს უაღრესად კეთილგანწყო-
ბილებას ექთან სირანუშ ოპანესიანთან. აქ თქვენს მიჯნურობა-
საც ახსენებენ. აქედან გამომდინარე იმასაც კი გიძრახავენ, რომ
თქვენ, როგორც მისთვის „ხელქმნილი“ სამსახურში სამი შეთა-
ვლება მოუხერხეთ სირანუშას: (რისაა ვადამყოფოს ექთანობა,

რაიბოლიკვინიკის და ამავე დროს სოფელ ვაჩიანის საექიმო
უბნის ექიმობა). უკვირთ—ეს დანესებულებები ერთიმეორისაგან
ათუელი კილომეტრითაა დაშორებული და ერთ და იმავე საათებში
როგორ ასწრებს მათს მომსახურებასო?

მაგრამ თქვენ ხომ ეს თანამდებობანი იმიტომ არ შეგიტა-
ვაზებიათ მისთვის, რომ მუშაობით ჯანი გაიგდებინოს? თქვენი
სურვილი მარტივი იყო: შეგვერთებინათ სამი სამტატო ხელფასი
და მიგერთმინათ სირანუშასათვის.

აღბათ, თქვენს მამხილებლებს არ ახსოვთ შოთას მითითება
ტარიელისადმი: „სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირო-
ნიაო“. თქვენ კი ტარიელი თუ არა, ტარიელაშვილი მაინც ბრძა-
ნდებით!

არის სხვა საყვედურიც: ვითომ თქვენ ოპანესიანის საშუა-
ლებით, რეალიზაციას „უკეთებდეთ“ (ამ „გაკეთებაში“ თქვენი
ჭიბის გაკეთებასაც გულისხმობენ) საექიმო უბნებისათვის განკუ-
თვნილ ძვირფას მედიკამენტებს. თანაც დასძენენ—სირანუშა
ცნობილი კომბინატორიაო. გულბრყვილობა თუ გნებავთ, სწორედ
ეს არის! აბა, ამისთანა ბნელ და ძნელ ოპერაციას ისეთ ვისმეს
ხომ არ მიანდობდით, ვინც კომბინაციების კეთებაში ცნობილი
და გამოცდილი არ არის?

მაგრამ, თუ ბოლოს და ბოლოს კომბინაციებზე წავა საქმე,
განა სირანუშაზე ნაკლებ კომბინაციებს აკეთებინებდით თქვენს
ბუღალტერ რუხაჯიანს? გოგოლის ჩიჩიკოვის მსგავსად, ხელფასის
უწყისებს „მკვდარი სულელებით“ ავსებინებდით. მათში ორჯერ და
სამჯერ შეგქონდათ ქიდიის საექიმო უბნის მუშაკები რიმა ბაღა-
ხაძე, ბაბუცა მიქელაძე და სხვები. ამ „სულელებს“ თითო განაკვე-
თით უნაზღაურებდით ხელფასს—დანარჩენი თქვენი და რუხაჯი-
ანის „შრომის“ ანაზღაურებას ხმარდებოდა. თქვენ ამას „თაფლი-
ანი თითის“ გადოკვას უწოდებთ, მაგრამ თქვენს მამხილებლებს
ჰგონიათ, რომ ზოგჯერ თაფლიც ძიმწარედ იქცევა.

რა ვიცით, ჯერჯერობით კი ტკბილად ილოკავთ თითებს,
მაგრამ შეიძლება ახალქალაქურმა თაფლიმა გვიან იცის „გაძიმწა-
რება“?

აი ამის თაობაზე გვინდოდა თქვენი შენუხება. თუ გადაჭა-
რებულ ცნობისმოყვარეობად არ ჩაგვითვლით, შეგვატყობინეთ
თქვენი მოსაზრებანი: როგორ დაუსაბუთებთ ზემოთ ჩამოთვლილ
„წერადმანთა“ საფუძვლიანობას, როცა საფუძვლიანად მოგაკით-
ხავენ ვინც ჯერ არს და საიდანაც ჯერ არს?

მიიღეთ ჩვენგან მსგავსი კარგი სურვილები.

ნიანუ



ამერიკელი ბიზონი

(კორესპონდენტის შენიშვნები)

ბერლინი. გენერალ კლეის შტაბ-სამყოფელი—კონსპირაციულია. შესავალ-თან დგას ამერიკულ სამხედრო ფორმაციაში გამოწყობილი ზანგი. მე ვფიქრობ მას კორესპონდენტის მოწმობას. როცა რწმუნდება, რომ საბჭოთა კავშირიდანა ვარ—

— იღიბება, მეგობრულად ხელს მართებს და მეუბნება:
— ჩვენ ელბაზე შევხვედრით ერთმანეთს... როგორ ბრძანდება ხტალინი? დიდებული ადამიანია: არ ანსხვავებს ერთმანეთისაგან შავკანიანებსა და თეთრკანიანებს. მთელს ქვეყნიერებაზე ხტონს მშრომელების უფლებას. ა-კეი!



ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერ-მე შევხვდი ამ ზანგს. მაგრამ რამდენიმე თვის მერ გავივი: მას კომუნისტობაში დასდეს ბრალი და ამერიკაში გაგზავნეს. მისი ადგილი კონსპირაციულია სხვამ დაიკავა. ეს იყო აუღაყუდა მწითური ამერიკელი—ანგარიშის ხარბი თვალბოთ. ერთხელ ის ბრანდენბურგის კარბთან შემხვდა და ველარ მიცნო.

— შალღო იყიდეთ ორიოდე მაჯის საათი—მომართა მან. თავისი ქურთუკის ხაზლო აიკაიწა მაჯაზე, რომელზედაც მწკრივად წამოცმული ჰქონდა მაჯის საათები.

მე მივფიქრე, რომ ასეთი საქონლის მუშტარი არა ვარ. მაშინ ამერიკელმა სახელო მკლავის მოსახრელამდე აიწია და მის ბაღიან მკლავზე ხუთი მაჯის საათი დაგინახე. მე კვლავ ცივად მივფიქრე:

— ყველაფერი ეგ არა მჭირია!
მაშინ ბიზნესმენმა მხედარმა სხამალა გაიცინა და წამოიძახა:
— ა-ა! მესმის: თქვენ გინდათ ცოლს საჩუქარი მიართვათ, ხომ?.. სიამოვნებით...

მან ასლა მარჯვენა მკლავზე აიკეცა სახელო. მკლავზე ხუთი ცალი ქალის პატარა საათი აღმოჩნდა...

დანარჩენი ბიზნესმენი ჯარისკაცები და ოფიცრებიც ასევე იქცეოდნენ. გზას ვერ აუხვევდით, რომ თავი არ მოეხერხებინათ ჩარჩობით. მათ საათები წვივებზედაც ჰქონდათ შემოკრული...

ამერიკელი ჯარისკაცები, ოფიცრები და თვით გენერლებიც კი ბშირად გამოდიან მარკიტანელი ქალების როლიში: გულზე, მკლავებზე თუ კანზე ფარულად შემოკრული აქვთ და სხეულანტურ ფასებში აჩრებენ გერმანელ მოსახლეობას სიგარეტებს, ყავას, შოკოლადს, ხაღებ რეზინს, სხვადასხვა კონცენტრატებს და თანაც, რასაკვირველია, ვისკის.

თვით ამერიკის საოკუპაციო ჯარების სარდალი გენერალი კლეი არ თაკილობს სოცდაგრობას. სიგარეტის მეფეს ენრი კლეის შვილმა იცის თუ რას ნიშნავს კარგი აღებ-მიცემობა.

ბერლინიში მიაშხეს გენერალ კლეის მიერ ჩატარებული ხაფაქრო მაქინაციების ორი შემთხვევა:

რამდენიმე თვის წინათ, ამერიკელმა მრეწველებმა მარშალის გეგმით გათვალისწინებული ჩაბარების ანგარეში ბიზონის გაუგზავნეს 33 ათასი ცალი საბარგო ავტომანქანა—მაღალ სადლოარო ფასებში. ეს მანქანები უვარგისი აღმოჩნდა. ნახევარი კაპიტალურ რემონტს საჭიროებდა, დანარჩენი მანქანები კი იმდენ ბენზინსა ნთქავდნენ, რომ გერმანელმა ექსპერტებმა განაცხადეს—მაგ მანქანებზე შეიძლება გადაზიდულ იქნას მხოლოდ ბენზინი.. მათივე საჭიროებისათვის.

1948 წლის დასაწყისში ბიზონის მალაიებში გაჩნდა „მარშალის გეგმის“ ანგარიშში გამოგზავნილი „ხირს რებუკ ენდ კომპანის“ ფირმის მიერ 28 წლის წინათ დამზადებული ფეხსაცმელი. უსაზღვრო იყო გერმანელ მომხმარებელთა განცვიფრება—წესებისაგან ნახევრად დაობებული საქონლის მოტანის გამო. მყიდველები არ ეკარგებოდნენ, მაგრამ უბრალოდ შეაძინეს რას იზამთ: თუ

გენერალ კლეის ნებას, რომ მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი გერმანელი მოსახლეობა გამოეყუბოს გრემელსვირიან და ქულსებმოღრეცილ „მარშალიზებულ“ ტუფლებში, ვის აქვს უფლება დაიწუნოს ისინი?

მაგრამ შეცდომა იქნება, თუ ვიფიქრობთ, რომ ამერიკელები გერმანიაში მისდევენ მხოლოდ ბიზნესს. არა. ისინი ბევრი სხვა რამითაც არიან გართულნი, — მათ შორის ბროპაგანდითაც.

ვედღინგის რაიონში ამერიკელმა მაიორმა ვილიამმა გერმანელი მოწაფეები გონებრივად გაწვრთნა გადასწყვიტა: მან შეუკეთა გერმანელ მოწაფეებს დაეწერათ თხზულება „ამერიკის დემოკრატიის“ შესახებ. ბეჯითობისათვის მათ ჯილდოდ შოკოლადს შეპირდა. როცა ასეულობით მოწაფემ თავისი თხზულება წარუდგინა—ვილიამმა ისინი დაიწუნა, ხოლო შოკოლადი შავ ხაზარზე სახეკულაციოდ გაუშვა.

ერთხელ ამერიკელების მიერ გერმანელთა მოწყობილ გამოგნას დავიწვარი. აქ ნახევრები იყო „ამერიკული ცხოვრების სიტუაციები“. მაგრამ დახეთო ოკუპირებულთა უმაღლრებას: არც ერთი გერმანელი არ გაუკანდა გამოგნაზე მაშინ ამერიკელებმა გამოაცხადეს, რომ გამოგნაზე დამსწრე ყოველი გერმანელი მიიღებს დამაქრულ ყავას ნაღებით.

როცა ამერიკელებთან შეხვედრებს ვიგონებ, თვალწინ მიდგებან სამხედრო კურტაკიანი გაბღენძილი კომპოლიტები, რომლებიც რეზინის ლეკვით უტიფრად დაეხებებიან და „დოლარის ძალით“ გააშაყებულნი აღვირახნობლად ეპოტინებიან სხვის ქონებას.

ერთმა პროცურებულად განწყობილმა ამერიკელმა მამამო საკვირველი შემთხვევა, რაც შეერთებულ შტატებში გაშეფებულ ექსპანსიონიზმს ახახათებს: სრულ კუაზე მყოფმა ორმა ფირმის მეპატრონე ამერიკელმა ბიზნესმენმა ხენატში წერილობითი განცხადება შეიტანა და მოთხოვა, რომ ხენატმა მათ საკუთრებად დაუმტეციოს... მოვარე!

ოლონდაც განა ცუდი იქნება, რომ ამ ცივ პლანეტაზედაც გაიგზავნოს ფირმა „ხირს რებუკ ენდ კომპანის“ ფირმის წვეტცხვირა ტუფლების პარტია, ან ვისკი, და რაღა თქმა უნდა, სახაო გემებისა, ზარბაზნებისა და ზომბდამშენების საჭირო რაოდენობა ამერიკული დემოკრატიის მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად?

ჩარჩობა და ექსპანსია—აი რით სულდგმულობს დღეს ყველს რეაქციონერი ამერიკელი. მხოლოდ ამ მოღიბიკის გატარებას ემსახურებიან ბიზონიაში მოფუსფუსე ამერიკელები.

ი. გომორკელი

ბერლინი-თბილისი.





—ათი დირექტორი გამოვიცვალე და ჯერ ასეთი არ შემხვედრია; თანამშრომლებს დავიხანიათებ-მეთქი ვუთხარი და არ ჰქნა, ყველას მე თვითონ ვავიცნობ ვინ რა არისო!

—ხო და შენ უკვე გაუცვნიხარ და ისაა!

„ატომ კომპანის“ შენობის ერთ-ერთ ლიფტში ამერტ... კელი მოქალაქე ნაცნობ ქალიშვილს შეხვდა...
— გამარჯობათ, მისის ჟანეტა, ჩვეს ფირმაში ხომ არ დაიწყეთ მუშაობა?
— არა, ჯეკ.
— ყოველდღე კი ამ ლიფტში გხვდებით.
— საქმე მაქვს, ჯეკ.
— იქნებ რაიმე პროექტი გაქვთ ფირმისათვის.
— არა, ჯეკ, ლიფტში მაქვს საქმე. ლიფტის მმართველთან ვმეცადინებ.
— ლიფტის მართვას სწავლობთ? თქვენ მგონი უმაღლეს სკოლას ამთავრებდით. ასეთ უბრალო საქმისათვის რატომ მოგიკიდიათ ხელი?
— ლიფტთან რა მესაქმება, ჯეკ, ფიზიკაში ჩამკრეს და გამოცდისათვის ვემზადები.
— გამოცდას ლიფტში ამზადებთ? საკვირველია!..
— რა არის საკვირველი, ჯეკ, ლიფტის მმართველი ხომ ფიზიკის პროფესორია, ახლობელი ნაცნობია, უფასოდ მუშაობს!..

თანახვორანი

ქუჩაში ავტომანქანა გაჩერდა.

— შეხედეთ, მისტერ. — ეუბნება ამერიკელი ჟურნალისტი უცხოელ კორესპონდენტს, — ჩვენზე ამბობენ თითქოს ზანგებს ვავიწროებდეთ. იმ მაღაზიებში და საერთოდ საზოგადო დაწესებულებებში, რომლებითაც თეთრკანიანები სარგებლობენ, თითქოს ზანგებს არ ვუშვებდეთ. აბა, შეხედეთ, ხომ ხედავთ იმ მაღაზიას, ზანგებიც თავისუფლად შედიან და თეთრკანიანებიც.
მაღაზიაში ორი ზანგი შევიდა. შემდეგ ორმა თეთრკანიანმა შეალაჯა.

— მართლა საკვირველია, ნუთუ სიცრუეს ავრცელებენ!
— რასაკვირველია, მისტერ!
ამ დროს მაღაზიიდან კუმო გამოიტანეს.

ნიანგს მიწოდა შიამ

ერთი დღე ვანში

უკან დარჩა სამტრედიის ვანის ბალ-ვენახებისკენ მიჰქრის ყელადმდე სავსე „ხალტურბუსი“ (ასე ეძახდნენ მეზავრები მას)... სიხარულის ჟრუანტელი მივლიდა: რა კარვად გაზრდილა, დავაქცაცებულა ჩვენი ვანი!.. აგერ ახალი მოჩუქურთმებული ადმინისტრაციული სახლი, კინო-თეატრი, სწორი ქუჩები... გზაზე მოდის და მოდის ხილით დატვირთული მანქანები... კრიმინალური შემომესმა, ყაბალახვარული კოლმეურნეები მიიმდგნენ...

— საით მიიქპარით, მეგობარო?
— ოც კილომეტრზე არხსა ვქრით, სარწყავს ვაკეთებთ, წელს იმდენი მოსავალი უნდა მოვიყვანოთ, რომ ბელლებმაც ველარ დაიტონ... — მიპასუხა შუახნის კოლმეურნემ.

თოვლში თავჩაქინდრული კაცი შევნიშნე. იცრემლებოდა, მოსთქვამდა:

— დავილუბე, რაღა მეშველება...
— რა ამბავია შენს თავს, ძმო-ბილო?

— მოკვდა... ჩამომშორდა...
— ვინ?

— ჩემი უწყინარი ხალტური-ნა, — და თითებით გადაქექა თოვლი, — აი, ჩემი ამშენებელი და დამაქცივარი...

მართლაც, ოდნავ ჩანდა თოვლსა და მიწაში ჩაფლული შავი ნა-

წილები. როგორც გამოირკვა ეს არტელ „ვანინკობის“ დაღუპული მანქანა იყო, რომელსაც ამ წუთში არტელის თავმჯდომარე ვ. ტყეშელაშვილი დასტიროდა. ამბობენ, „ხალტურინას“ უმოწყალოდ არბენინებდნენ ვანი-სამტრედიის გზაზე „საშოვარისათვის“.

— რა ვქნა, შემოგველე, სამარეში არავინ არვის არ ჩაჰყოლია. — ამოიხვეწა ტყეშელაშვილმა, — გაუძღვებ სანამ ძმა-ბიჭები მეყოლებიან...

* * *

ჩაფიქრებული პირდაპირ არტელში შევედი. თავშალწაკრული დედაკაცი მოურიდებლად მიმართავდა:

— ქვითარი, ქვითარი მინდა...
— რას ვადამეკიდე, ქალო, ფული მომეცი, შენი შეკერილი კაბა წაიღე, აქ რა არის სადავო, შენთვის სულ ერთი არ არის ვის ჯიბეში ჩავა ეგ ფული, ა?... — მრისხანედ უპასუხებდა „პირველი ნაბიჯის“ თავმჯდომარე იოსებ თეთროქალიშვილი.

ჩემმა თანამგზავრმა ასანთი აანთო და უმაღლე ბოდში მოიხადა: კედელზე დიდრონი წარწერა შეამჩნია: „პაპიროსის მოწვევა უსასტიკესად აკრძალულია“, მერე გაცეცხილვით გადახედა ოთხი ნაბიჯის იქით დარბაზში ანთებულ კოცონს... იქ

იატაკი ამოეპრათ და ცეცხლი დაენთოთ, ალი ჰერსა სწვდებოდა...

— განა ასეა საქმე? ახლა რა საშიშია, თოვს, წვიმს, ხანძარიც რომ გაჩნდეს — წუთში გავსუნგავთ, — დაგვამზავდა თავმჯდომარემ, — არც ისე უშნოები გეგონოთ, გასულ წელს ჩვიდმეტი პროცენტით გადავაქარბეთ მთლიან ჩამორჩენას... წელს ვფიქრობ, რამეფრად გამოვაკვარახჭინებთ საქმეს...

სალამომდე სოფელ ზედაციხესულორიც მოვიხანაულე... საესე ბალები, მხიარული სახეები. ქალები... თან თესლსა სწმენდნენ, ამოწმებდნენ, გაზაფხულისათვის ემზადებოდნენ, სამჭედლოებში კი თხებებს პირს უწყობდნენ.

— ოთხმოცდაათი ცენტნერი სიმინდი — ჩემი სიტყვაა, შარშან თუ შრომადღეზე ათ კილოგრამამდე გავანაწილეთ, წელს თხუთმეტი იქნება...
— ასი ცენტნერი ყურძენი ჩემზე იყოს! — ხალისით მიუგო სახელმძღვანელომა სტახანოველმა ქალმა ფ. გიორგაძემ.

სალამოს სასტუმროში შევედი. ბნელოდა. მკრთალ შუქზე რუხ საბანში გახვეული მოქალაქე ძაგდაგებდა, კბილების ქახუნი მესმოდა...
— აქ მობრძანდით დასასვენებლად? — შემკრთალად შემეკითხა სა-

სტუმროს გამგე ახვლედიანი. ენა დაბმული მქონდა, თავი დაუჭინი. აბა, სად წავსულიყავ?


— სხვას არას დავეძებ, აქ მკბენარი ხომ არ არის? — წამომცდა მე. გამგემ აღმაცერად შემომხედა და გაიღიმა:

— მაგას კი ნუ ინალვლებთ, ჩემო კარგო, გამოანგარიშებული მაქვს, რომ ყინვის ასეთ ტემპერატურაში, მკბენარს კი არა, ცოცხალ კაცს არ შეუძლია გასძლოს...
— სწორია, სწორი! — დაადასტურა ექიმა ი. კობეშვიდემ, — ჩვენც ასე გვაქვს შემოღებული საავადმყოფოში.

— სირცხვილია, — ხელების ქნევით იძახდა რაიანმასკომის კომუნალური განყოფილების გამგე ი. მალრადე, — თავი გვაქვს მოსაჭრელი, როგორ შეიძლება, რას ჰგავს ეს?..
— მართლაც, ნუთუ პასუხისმგებელი კაცი არ არის? — ავიფიქრე და ნაგავში მიგდებულ საწოლს დაეშტერდი.

მალრადე გაწითლდა, გაყვითლდა და ხელების მტვრევით წაილულულა:

— მგონი, კირიმე, ცოტა მეც მეხება, ეს ოხერი, რა ვქნა, ცივა, სახლიდან ძლივს გამოვიდვარ... მაგრამ არა უშავს, გაზაფხულიც მალე მოვა, მანამ კი იოლად წავიდეთ...
ა.პ. სხვაგვარი



ძლივს, 3 საათის ლოდინის შემდეგ გაჩერდა გატალახიანებული მანქანა თელავის ავტოსადგურის წინ.

მე და ათიორდე სხვა მგზავრი სიხარულით ცას დავეწიეთ. მაგრამ ავტოსადგურის მორიგეში ცივი წყალი გადაასხა ჩვენს ალტაცებს.

— მანქანა დაზიანებულია, ვერ წავა.

— გამოგვიცხადა მან და თან ისიც დასძინა, რომ თუ მოთმინება გეყოფათ და დაიცდით, შესაძლოა სხვა რამ გამოვნახოთ.

მართლაც 5 საათზე „სხვა რამ“ გამოჩნდა. სამტონიანი სატვირთო მანქანა გაჩერდა ჩვენს წინ.

მოკლე ხანში სავეს მანქანა გაუდგა ყვარლის გზას. ალაზნის ხიდამდე მშვილობიანად ჩავალწიე. ცხვირი მომეყინა, დავინჯღერე, მაგრამ რას ვიზამდი, შევეგუე ჩემს ბედს.

გავცდით ხიდს და დაიწყო ჩვენმა სკამებმა ცეკვა და მოგზაურობა. პატარ-

პატარა ორმოებად გადაქცეული გზა და შოფრის მრისხანება (ხალტურა არ იყო) ხან ნაფოტივით მაღლა აგვისროდა და ხან გვერდზე მიგვაგდებდა, ერთი სიტყვით, ბურთებად გადავიქცეთ.

— თუ ძმა ხარ, ნელა ატარე, ჩვენ თუ არ გეცოდებით ეს მოხუცებული დედაკაცი მაინც შეიბრალებ. — ჩაეძახე შოფერს.

— ბარო ტოი ვერ უყურებ რა გზა მე რა ვქნა, გზის ინჟინერი ხომ არ გგონივარ, — მკვახელ ამომძახა მან და განავრძო ჩვენი „ბურთაობა“.

ჩავედი ყვარელში დამტვრეული და გულმუცელშედლებილი. მეორე დღეს ნათესავის ოჯახში ვახსენე ჩემი „ბედნიერი“ მგზაურობა და უბედური გზა. იქ ერთ ქორს მოგვარი ყური (რას არ მოიგონებენ), თითქოს ყვარლიდან თელავში, თელავიდან ყვარელში სტუმრებივით მოგზაურობენ საგზაო განყოფილების თანამშრომლები (ზოგ ადგილას გზის კიდებზე ქვიშაც კი დაყარეს).

ისინი მგზაურობის დროს, თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე გზასაც კი ნახულობენ, უკმაყოფილოდ თავებსაც იქნევენ, ხელებსაც შლიან, მაგრამ... გზებზე ორმოები ორმოებად რჩება, მგზავრები წვალობენ, ხოლო მათი საცოდაობით დამწვარ გულს ჩვენი გზის „მკურნალნი“ ქინძმარაულით იკურნავენ.

ბალიკო ჩანგალაძე

„ნიანგმა“ № 5-ში ღია წერილით მიმართა ა/კ. რკ. გზ. უფროსს ამხ. კიკნაძეს, რომელშიც მოთხოვნილი იყო ქ. ახალციხის რკ. გზ. სამგზავრო ხადგურში არსებული მნიშვნელოვანი დეფექტები.

ა/კ. რკ. გზ. უფროსის მოვალეობათა აღმასრულებელი მოძრაობის III რანგის გენერალ-დირექტორი ამხ. ტაბატაძე გვატყობინებს, რომ „ნიანგის“ ღია წერილში აღნიშნული დეფექტები მთლიანად დადასტურდა. სპეციალური ბრძანებით წინადადება მიეცა სამგზავრო სამსახურს შეაკეთოს აღნიშნული ხადგური, გაათავართოს ზაქანი და დამთავროს გათვალისწინებული მშენებლობანი.

რემონტის დამთავრება გათვალისწინებულია ა/წ. 1 მაისისათვის.

ახირებული კოლექციონერები



სიღნაღის ქალაქის ბიბლიოთეკა. მე მოკრძალებით ვუზივარ კრძელი მაგიდის კუთხეს და ჟურნალ-გაზეთებს ვათვლიერებ. აი ეს „კომუნისტი“, ეს „ზარია“, — ესეც ჟურნალი „ოგონიოკი“. მშვენიერი,

რი, მდიდრად ილუსტრირებული ნომერი — სასიამოდ იზიდავს თვალს.

ეს რა არის? სურათის ნაცვლად ცარიელი ჩარჩო. ჩარჩოში კობტად ამოჭრილი სურათის კვალია. ახლა სხვა ფურცელს ვსინჯავ. იქაც ისეთივე ამბავია. მტყობნა ვილაც „ჟურნალ-ტურულ“ მკითხველს მოსწონებია ნახატი და ჩუმიდ ამოუჭრია შინ წასაღებად.

— ალბათ ძველი ნომერია, — ვფიქრობ და ბიბლიოთეკარს ვთხოვ:

— მიბოძეთ უკანასკნელი ნომერი!
— ახალი „ოგონიოკი“ გინდა? ეგ არის.
— ეს? — ბიბლიოთეკარს დაჭრილ ფურცლებს ვუჩვენებ.

— რა ვიცი, ჩვენ არ ამოგვიჭრია. მოიცა, ამონაჭრის ადგილას მგონი ფეხბურთელთა სურათი იყო, მეორე ადგილას კი — ტანმოვარჯიშეთა. ნეტავი ვინ ამოხვედა?

ორივენი მხრებს ვიჩივთ.
ჟურნალს გვერდით ვდებ და გაზეთ „სოვეტსკი სპორტს“ ვიღებ. აქაც იგივე ამბავი.

— ეს იმ ბიჭების ბრალი იქნება. — ნალეღიანად და თანაც გაბრაზებით ამბობს ბიბლიოთეკარი. შემდეგ კარადიდან „ოგონიოკის“ სხვა ნომრებს იღებს და სინჯავს. იგივე ამბავია. თურმე ვილაცის მჭრელი დანა სისტემატურად კუწავს და ასახიჩრებს მიღებულ ჟურნალ-გაზეთებს. და განა მარტო ქალაქის ბიბლიოთეკაშია ეს?

უარესს ნახავთ სიღნაღის კულტურის სახლშიაც.

ვინ აკეთებს ამას? ამბობენ, არიან „სპორტის მოყვარული“ ახალგაზრდები, რომელნიც ამონაჭრებიდან ალბომებს იკეთებენო.

ვინ არიან ეს ახირებული კოლექციონერები? საინტერესო იქნებოდა მოგვენახა ისინი და ნიანგისათვის წარმოგვედგინა საჭირო რჩევა-დარიგების მისაღებად.

სიღნაღელი

ქახელ მგზაურობის წერილი ნიანგს

თბილისქალაქის სადგურსა დაფლოცავთ, გენაცვალდებით, კეთილმოწყობით გვახარებს, დარბაზთა გაკრიალდებით. მხოლოდ ჩვენა ვართ, ყოველთვის მგზაურობით განაწვადლები:

„მოსაცდელ ოთახს“ ეტყვიან, იქ გვაჩერებენ ქახელებს, სკამი არ არის, არც სხვა რამ და ეს გვაჯავრებს, გვახლდებს.


თუ სხვა მოსაცდელ ოთახებს აქვს სამკითხველო, ბუფეტი, ჩვენ რატომ უნდა ვიცდიდეთ ბნელ გასასვლელის კუთხეში?

დასაჯდომ ადგილს ვერ ნახავ, ფეხზე დგომისგან ვილდებით, რატომ არ უნდა ვმგზავრობდეთ კულტურის წესის მიხედვით?

გგები გვიშუამდგომლო, ნიანგო, ჩვენო იმედო, რომ ყურადღება, ვინც ჯერ არს, ჩვენთვისაც გამოიმეტოს.

გ. მამუკელაშვილი

როცა ცხაკაიაში წვიმს



ყოველთვის, როცა ჟუჟუნა წვიმა სტრის, ან თოვლი დნება, ქ. ცხაკაიას მმაჩის ბიუროს დაცხრილულ კერძიდან ხმაშეწყობილი ჩუხჩუხით უშხაპუნებს წყალი იატაკს, მაგიდებს, სკამებსა და, მზრუნველობით“ განლაგებულ დავთარ-საბუთებს.

წვიმს, მაგრამ წვიმის შხაპუნი ხომ ვერ შეაშინებს თბილად ჩაცმულ, საწვიმრებსა და ქოლგებქვეშ შეფარებულ მუშაკებს? პირიქით, მათ ხშირად გასართობიც კი უჩნდებათ: იშვიათი როდია, რომ ახალი საოჯახო ცხოვრების დაწყებით აღფრთოვანებული წყვილი შემოდის და იძულებითი შხაპების მიღება უხდება ამ სიმბატიურ დაწყებულებაში. თანამშრომელი აფორმებს ახალ ქორწინებას. სწერს პატარძლის სახელგვარს, მაგრამ შხაპუნა წვიმა შლის ჩანაწერს, არის ერთი გაწამაწია, ხან სიცილი, ხან ბუზლუნი და საყვედური.

კიდევ უარესი: წყალი აზიანებს წიგნებსა და ჩანაწერ საბუთებს. ეს კი სრულებითაც არ არის სახუმარო და სამხიარულო, რადგან მას მრავალი გაუგებრობა და საყვედური მოსდევს.

რა კარგი იქნებოდა, რომ ამ ბიუროს შენობაში მიიპატიებდნენ ქ. ცხაკაიას კომპანის უფროსს სწორედ იმ მომენტში, როცა ცხაკაიაში წვიმს.

გ. ბანიძე

ნახ. გ. ლომიძისა

ჩერჩილი ნიუ-იორკში ჩავიდა იმ მიზნით, რომ „თეთრიული“ მონაწილეობა მიიღოს ჩრდილო-ატლანტიკის პაქტის გაფორმებაში.

ქართული
ბიზლირთქვე



ჩერჩილი—მისტერ სემ, ეს ბერკეტიც დამპალი სჩანს მხრებით მივაწვეთ, ვგებ როგორმე გადავიჩხოთ ეს ბურთი ომის უფსკრულში. ძია სემი—არ გამოდის, ხერ ჩერჩილ! ისეთ მაგარ ხელს უჭირავს, რომ ძვრა ვერ გვიქნია.

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-10-49

ბელმოწ. დასაბ. 1949 წ. 12/VI. ტექსტი აწვობილია ლ. პ. ბერეას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შეკ. №, 447. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შეკ. № 876. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 53. ტირ. 7600 უე 01830